№05/1
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეგისტრაციისა და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"9" მარტი 2010 წ.
№ 200.230.000.35.127.005.886

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №5

ქ. ზესტაფონი

24 თებერვალი 2010 წელი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონირებისა და მიწის გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის" 273-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 274-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის №603 ბრძანებულების შესაბამისად ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დ ა ა დ გ ი ნ ა:

მუხლი 1.

1. ქალაქ ზესტაფონის ტერიტორია დაიყოს სამ ზონად (დანართი №1):

ა) ცენტრალური ზონა - კვარტალი 07,08;

ბ) შუალედური ზონა - კვარტალი 03,04,05,06,10,11,14,15,16;

გ) პერიფერიული ზონა - 01,02,09,12,13.

მუხლი 2.

1. **ცენტრალური ზონა - მიწის გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტი 1,4.** რომლის საზღვრებია:

ა) აღმოსავლეთით - ცენტრალური გზაგამტარი ხიდი.

ბ) დასავლეთით - გვირაბიდან დასავლეთის მიმართულებით რკინიგზის გაყოლებით კომუნალური მეურნეობის უკან მდებარე ტერიტორიისა და წიდასაყრელის ჩათვლით მთლიან პერიმეტრზე ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

გ) ჩრდილოეთით - ცენტრალური გზაგამტარი ხიდიდან რკინიგზის მთლიან კონტურზე მარცხენა მხარე გვირაბამდე.

დ) სამხრეთით - ცენტრალური გზაგამტარი ხიდიდან მდინარე ყვირილას მარჯვენა სანაპირო მთელ კონტურზე წინასაყრელის სამხრეთით ბოლო წერტილამდე, კვალითის დასახლების დამაკავშირებელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიამდე.

მუხლი 3.

1. შუალედური ზონა - მიწის გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტი 1,3 რომლის საზღვრებია:

ა) მარჯვენა შუალედური ზონა - აღმოსავლეთის მხრიდან ვ. ბატონიშვილის ქუჩაზე გეწამეების უბნის ასახვევიდან ათონელების ქუჩის გადაკვეთამდე.

ბ) ჩრდილო-აღმოსავლეთით ათონელების ქუჩა უზნაძის ქუჩის გადაკვეთამდე და უზნაძის ქუჩა.

გ) ჩრდილოეთით ქალაქ ზესტაფონის ადმინისტრაციულ საზღვრამდე ჩათვლით.

დ) სამხრეთით - ვ. ბატონიშვილის ქუჩაზე გეწამეების უბნის ასახვევიდან რკინიგზის გასწვრივ მარჯვენა მხარეს მერჩულეს ქუჩის გადაკვეთამდე გრ. ხანძთელის ქუჩის ბოლომდე.

ე) დასავლეთით - მერჩულეს ქუჩიდან მიემართება ფშქ-ში შემავალი სარკინიგზო ხაზის გასწვრივ მოქალაქე ზ. გამრეკელაშვილის სახლამდე. აქედან ჩრდილო-დასავლეთის მხარეს მოქალაქე გამრეკელაშვილის სახლიდან აბესაძისა და ლაღიძის ქუჩის გადაკვეთამდე ნინოშვილის ქუჩის გაგრძელებაზე ზედა საქარის საზღვრამდე.

ვ) მარცხენა შუალედური ზონა - აღმოსავლეთით, დასავლეთითა და სამხრეთით ქ. ზესტაფონის ადმინისტრაციული საზღვრის ჩათვლით

ჩრდილოეთის მხარე - მდ. ყვირილის გასწვრივ ქ. ზესტაფონის აღმოსავლეთის საზღვრისა და მდინარე ყვირილის გადაკვეთის წერტილიდან დასავლეთით ქ. ზესტაფონის ადმინისტრაციული საზღვრისა და მდ. ყვირილას გადაკვეთის წერტილამდე.

მუხლი 4.

1. პერიფერიული ზონა - მიწის გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტი 1,1

რომლის საზღვრებია:

ა) მარჯვენა პერიფერიული ზონა - აღმოსავლეთით მარჯვენა შუალედური ზონის საზღვრიდან დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ქ. ზესტაფონის ადმინისტრაციული საზღვრის ფარგლებში.

ბ) მარცხენა პერიფერიული ზონა - კვალითის დასახლება მთლიანად ქ. ზესტაფონის ადმინისტრაციული საზღვრის ფარგლებში.

მუხლი 5.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი სოფლისა და თემის ტერიტორიაზე:

ა) მიწაზე გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტი განისაზღვროს 0,8.

ბ) დასახლებათა შორის არეალებში 0,6.

გ) დასახლებათა შორის არეალებში გამავალი ,,საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 15 სექტემბრის №554 ბრძანებულებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 100 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებულ მიწაზე გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტი განისაზღვროს 0,8.

მუხლი 6.

კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

მუხლი 7.

დადგენილება ძალაში შევიდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ფერაძე**

ქალაქ ზესტაფონის ტერიტორიის ზონირება ქალაქთმშენებლობითი ღირებულების მიხედვით



კოორდ.სისტემა . . WGS-84 პროექცია. . . UTM მასშტაბი 1 : 12 000

მისამართი: ქ. ზესტაფონი, მიღებიანის ქუჩა ფართობი: 971.17 ჰა

დანიშნულება:

კირეობითი ნიშნები

- პერიფერიული ზონა (446.03 ჰა)
- შუალედური ზონა (399.57 ჰა)
- ცენტრალური ზონა (125.57 ჰა)

შ.პ.ს. „MAPANET"

ქ. ზესტაფონი, ფარჯიანის №2

საკადასტრო ადგილზე უფლებამოსილი პირი:

დაინტერესებული პირი: ზესტაფონის შენიც. მამგმელა